წელიწადი—მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და
საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.

ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

განცხადების ფასი
საქართველოს ფურცლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ., ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში —ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (საგაზეთო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

დ ღ ი უ რ ი

15 ივლისს გერმანიაში ეწყობა უმუშევართა დღე.

— გერმანიის კომპარტიის გავლენის [illegible]ნო ზრდა.

— ზანგების დიდი აჯანყება ბელგიის კონგოში (აფრიკა).

— საბჭოთა დელეგატების გამოსვლა ტეხნიკურ მეცნიერებათა კონფერენციაზე ლონდონში.

— სისხლისმღვრელი შეტაკებები პლოცკში (პოლონეთი).

— გაიხსნა საბჭ. კავშირის რკინისგზელთა მეათე ყრილობა.

ორშაბათი, 6 ივნისი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი № 154 (3109) ფასი 5 კაპ.

ახალი ვითარება—სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები

ამხ. სტალინის სიტყვა სამეურნეო მუშაკების თათბირზე

ამხანაგებო! როგორც თათბირის მასალებიდან სჩანს, ჩვენი მრეწველობა, გეგმის შესრულების თვალსაზრისით, საკმაოდ ჭრელ სურათს წარმოადგენს. არის მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებმაც განვლილ ხუთ თვეში, წარსულ წელთან შედარებით, პროდუქცია 40—50 პროცენტით გაადიდეს. არის დარგები, რომელთა პროდუქციის გადიდებაც 20—30 პროცენტს არ აღემატება; დასასრულ, არის მრეწველობის ცალკე დარგებიც, რომლებმაც პროდუქცია მინიმალურად გაადიდეს, რაღაც 6—10 პროცენტით, ზოგმა ნაკლებითაც. ამ უკანასკნელთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ქვანახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია. როგორც ხედავთ, სურათი ჭრელია.

რით აიხსნება ეს სიჭრელე? სად არის მრეწველობის ზოგიერთი დარგების ჩამორჩენის მიზეზი? სად არის იმის მიზეზი, რომ მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა მოგვცა პროდუქციის გადიდება მხოლოდ 20—25 პროც.-ით, ხოლო ქვანახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია იძლევიან კიდევ ნაკლებ გადიდებას და კუდში მისჩანჩალებენ სხვა დარგებს? მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს მრეწველობის განვითარების პირობები ძირიან - ფესვიანად შეიცვალა. შეიქმნა ახალი პირობები, რომლებიც მოითხოვენ ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს, ხოლო ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკები, ნაცვლად იმისა, რომ შესცვალონ მუშაობის ხერხები, ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. საქმე, მაშასადამე, იმაშია, რომ მრეწველობის განვითარების ახალი პირობები მოითხოვენ ახალი წესით მუშაობას, ხოლო ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკებს არ ესმით ეს, ვერ ხედავენ იმას, რომ ხელმძღვანელობა ახალ წესზე უნდა მოხდეს.

ამაშია ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგების ჩამორჩენის მიზეზი. რა ახალი პირობებია ჩვენი მრეწველობის განვითარების ეს პირობები? საიდან წარმოსდგნენ ეს პირობები? ისინი, ეს პირობები, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ექვსია.

განვიხილოთ ეს პირობები.

I. მუშა-ხელი

საქმე შეეხება, უპირველეს ყოვლისა, საწარმოების უზრუნველყოფას მუშა - ხელით. უწინ ჩვეულებრივ მუშები თითონ მიდიოდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, მაშასადამე, არსებობდა ერთგვარი თვითმდინარეობა ამ საქმეში. ხოლო თვითმდინარეობას იწვევდა ის, რომ იყო უმუშევრობა, იყო სოფლის ფენებად დაყოფა, იყო სიღატაკე, შიში შიმშილის წინაშე, რომელიც ერეკებოდა ადამიანებს სოფლიდან ქალაქში. ხომ გახსოვთ ფორმულა „გლეხის გაქცევა სოფლიდან ქალაქში"? რა აიძულებდა გლეხს სოფლიდან ქალაქში გაქცევას? შიში, შიმშილის წინაშე, უმუშევრობა, ის გარემოება, რომ სოფელი მისთვის დედინაცვალი იყო, იგი მზად იყო გაქცეულიყო მისგან თვით ეშმაკთანაც, ოღონდ მიეღო რაიმე სამუშაო. ასეთ ამ დაახლოვებით, ასეთ მდგომარეობაში იყო ჩვენში საქმე ახლო წარსულში.

შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენში დღესაც ასეთი სურათია? არა, არ შეიძლება. პირიქით, ვითარება ეხლა ძირიან - ფესვიანად შეიცვალა. სწორედ იმიტომ, რომ ვითარება შეიცვალა, ჩვენში ადგილი აღარა აქვს მუშა - ხელის თვითმდინარეობას. სახელდობრ, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?

პირველი — ჩვენ მოვსპეთ უმუშევრობა, მაშასადამე, მოვსპეთ ის ძალა, რომელიც მძიმე ლოდად აწვებოდა შრომის ბაზარს.

მეორე ჩვენ ძირი გამოუთხარეთ სოფლის ფენებად დაყოფას, მაშასადამე, მოვსპეთ ის მასიური სიღატაკე, რომელიც გლეხს სოფლიდან ქალაქისაკენ ერეკებოდა. ბოლოს, ჩვენ სოფელს მივაწოდეთ ათი ათასობით ტრაქტორები, სასოფლო - სამეურნეო მანქანა, გავსტეხეთ კულაკი, მოვაწყვეთ კოლმეურნეობები, გლეხებს მივეცით საშუალება ადამიანურად იცხოვრონ, იმუშაონ. ახლა სოფელს უკვე აღარ შეიძლება ეწოდოს დედინაცვალი გლეხისათვის. და სწორედ იმიტომ, რომ მას უკვე აღარ შეიძლება ეწოდოს დედინაცვალი, გლეხი სოფლად რჩება და უკვე ადგილი არა აქვს არც გლეხის „გაქცევას სოფლიდან ქალაქში", არც მუშა - ხელის თვითმდინარეობას. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ ახლა გვაქვს სრულიად ახალი მდგომარეობა, ახალი პირობები საწარმოების მუშა - ხელით უზრუნველყოფისათვის. რა გამომდინარეობს აქედან? აქედან გამომდინარეობს, პირველი, ის, რომ ჩვენ აწი არ შეგვიძლია მუშა - ხელის თვითმდინარეობის იმედი ვიქონიოთ. მაშასადამე, თვითმდინარეობის „პოლიტიკიდან" ჩვენ უნდა გადავიდეთ მრეწველობისათვის მუშების მოწესრიგებული შეგროვების პოლიტიკაზე. მაგრამ ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს, — გზა სამეურნეო ორგანიზაციების ხელშეკრულებებისა კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებთან. თქვენ იცით, რომ ამ გზას უკვე დაადგენ რამდენიმე სამეურნეო ორგანიზაცია, კოლმეურნეობები, ამასთან გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ხელშეკრულებების პრაქტიკა სერიოზულ წარმატებებს იძლევა, როგორც კოლმეურნეობებისათვის, ისე სამრეწველო-საწარმოებისათვისაც; მეორე, აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ გადავიდეთ შრომის უფრო მძიმე პროცესების მექანიზაციაზე და ყოველნაირად გავშალოთ ეს საქმე (ხე-ტყის მრეწველობა, საამშენებლო საქმე, ქვა-ნახშირის მრეწველობა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, ტრანსპორტი, შავი მეტალურგია და სხვ.). რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს საჭირო იყოს თავი მივანებოთ ხელით მუშაობას. პირიქით, ხელით მუშაობა კიდევ დიდხანს ითამაშებს უაღრესად სერიოზულ როლს წარმოებაში. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შრომის პროცესების მექანიზაცია ჩვენთვის წარმოადგენს იმ გადამწყვეტ ძალას, ურომლისოდ ვერ შევინარჩუნებთ ვერც ჩვენს ტემპებს, ვერც წარმოების ახალ მასშტაბებს.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა არ მოიპოვება ისეთი სამეურნეო მუშაკი, რომელსაც „არ სწამს" არც მექანიზაცია, არც ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან. ეს ის სამეურნეო მუშაკებია, რომელთაც არ ესმით საქმის ახალი ვითარება, არ სურთ ახალ საფუძველზე იმუშაონ, რომელნიც იხსენებენ „ძველ კარგ დროებას", როცა მუშა - ხელი „თვითონ მიდიოდა" საწარმოებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი სამეურნეო მუშაკები, როგორც ცა მიწიდან, დაშორებული არიან სამეურნეო მშენებლობის იმ ახალი ამოცანებისაგან, რომლებსაც ჩვენ ახალი პირობები გვიყენებენ. ისინი, ალბად, ფიქრობენ, რომ სიძნელენი მუშა - ხელის საკითხში წარმოადგენენ შემთხვევით მოვლენას, რომ მუშა - ხელის ნაკლებობა თავისთავად გაქრება, ასე ვთქვათ, თვითმდინარეობის წესით. ეს შეცდომაა, ამხანაგებო! სიძნელენი მუშა - ხელის საკითხში არ შეიძლება თავის - თავად გაქრნენ, ისინი შეიძლება გაქრნენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ღონისძიებების შედეგად. ამგვარად, მოწესრიგებულად შევაგროვოთ მუშა - ხელი კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების წესით და მოვახდინოთ შრომის მექანიზაცია — ასეთია ამოცანა. ასეთია ჩვენი მრეწველობის განვითარების პირველი ახალი პირობის საკითხის მდგომარეობა.

გადავიდეთ მეორე პირობის საკითხზე.

2. მუშების სამუშაო ხელფასი

მე ესაა ვილაპარაკე მუშების მოწესრიგებული შეგროვების შესახებ ჩვენი საწარმოებისათვის. მაგრამ მუშების შეგროვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მთელი საქმე გაკეთებულია. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი საწარმოები მუშა-ხელით, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რათა მუშები შევინარჩუნოთ წარმოებაში და მუშების შემადგენლობა საწარმოში ცოტად თუ ბევრად მუდმივი — გავხადოთ. საჭიროც არაა იმის მტკიცება, რომ მუშების მუდმივი შემადგენლობის გარეშე, რომელთაც ცოტად თუ ბევრად შეითვისეს წარმოების ტეხნიკა და, რომელნიც შეეჩვიენ ახალ მექანიზმებს, შეუძლებელია წინსვლა, შეუძლებელია საწარმოო გეგმების განხორციელება.

წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ყოველთვის მუშების ხელახლა სწავლება და ნახევარი დროის დაკარგვა მათ სწავლებაზე, ნაცვლად იმისა, რომ ეს დრო წარმოებისათვის გამოყენებულიყო, რა ხდება ეხლა ნამდვილად? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მუშების შემადგენლობა საწარმოებში ცოტად თუ ბევრად მუდმივია? არ შეიძლება, სამწუხაროდ, ამის თქმა. პირიქით, ჩვენში საწარმოებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მუშა-ხელის ეგრედწოდებულ ცვალებადობას. მეტიც: მთელ რიგ საწარმოებში მუშა-ხელის ცვალებადობა არა თუ არ ისპობა, პირიქით, იზრდება, ძლიერდება. ყოველ შემთხვევაში ცოტას ნახავთ ისეთ საწარმოს, სადაც მუშათა შემადგენლობა არ იცვლებოდეს ნახევარი წლის ან თვით კვარტალის განმავლობაში, სულ ცოტა, 50-100 პროცენტით. წინად, მრეწველობის აღდგენის პერიოდში, როდესაც ტეხნიკური მოწყობილობა ჩვენში უმნიშვნელო იყო, ხოლო წარმოების მასშტაბი მცირე, შეიძლებოდა მუშა-ხელის ეგრეთწოდებული ცვალებადობის ასე თუ ისე მოთმენა. ეხლა სხვა საქმეა. ეხლა გარემოება ძირიან - ფესვიანად შეიცვალა. ეხლა გაშლილი რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც წარმოების მასშტაბი გიგანტური გახდა, ხოლო ტეხნიკური მოწყობილობა უაღრესად რთული, მუშა - ხელის ცვალებადობა გადაიქცა წარმოების უბედურებად, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს საწარმოებში. მუშა - ხელის ცვალებადობის „მოთმენა" ეხლა ნიშნავს ჩვენი მრეწველობის გარღვევას, საწარმოო გეგმების შესრულების შესაძლებლობის მოსპობას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობისთვის ძირის გამოთხრას.

რა არის მუშა - ხელის ცვალებადობის მიზეზი? შრომის ხელფასის არა სწორი ორგანიზაცია, არა სწორი სატარიფო სისტემა, „მემარცხენო" გათანასწორება ხელფასის დარგში. მთელ რიგ საწარმოებში სატარიფო განაკვეთები ჩვენში იმნაირად არის დაწესებული, რომ თითქმის ისპობა განსხვავება მძიმე და მსუბუქ შრომას შორის. გათანასწორებას მოსდევს ის, რომ არაკვალიფიციური მუშა დაინტერესებული არ არის გახდეს კვალიფიციურ მუშად და, ამრიგად, მოკლებულია წინ წაწევის პერსპექტივას, რის გამოც იგი წარმოებაში თავს „მოაგარაკედ" გრძნობს, რომელიც მუშაობს დროებით, რათა წაიმუშაოს ცოტა რამ და მერე წავიდეს სადმე, სხვაგან „ბედის საძებნელად". გათანასწორებას მოსდევს ის, რომ კვალიფიციური მუშა იძულებულია გადავიდეს საწარმოდან საწარმოში, რათა, ბოლოს, გამონახოს ისეთი საწარმო, სადაც სათანადოდ შეაფასებენ კვალიფიციურ შრომას. აქედან — „საყოველთაო" მოძრაობა საწარმოებიდან საწარმოებში და მუშა-ხელის ცვალებადობა. რათა მოისპოს ეს ბოროტება უნდა გაუქმდეს გათანასწორება, შემოღებულ უნდა იქნას ტარიფების ისეთი სისტემა, რომელიც ანგარიშს გაუწევს განსხვავებას კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქ შრომას შორის. დაუშვებელია, რომ მტკეცავი შავ მეტალურგიაში იმდენსავე იღებდეს, რამდენსაც დამგველი იღებს. დაუშვებელია, რომ მემანქანე რკინის გზის ტრანსპორტზე იმდენსავე იღებდეს, რამდენსაც გადამწერი იღებს. მარქსი და ლენინი ამბობენ, რომ განსხვავება კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის იარსებებს სოციალიზმის დროსაც კი, იარსებებს კლასების მოსპობის შემდეგაც კი და რომ იგი უნდა მოისპოს მხოლოდ კომუნიზმის დროს, რის გამოც „შრომის ხელფასი" სოციალიზმის დროსაც კი უნდა იქნეს გაცემული, შრომის და არა მოთხოვნილების მიხედვით. მაგრამ ჩვენი განმთანაბრებლები სამეურნეო მუშაკებიდან და პროფკავშირებიდან ამას არ ეთანხმებიან და ფიქრობენ, რომ ჩვენი საბჭოთა წყობილების დროს განსხვავება უკვე მოისპო. ვინ არის მართალი — მარქსი და ლენინი თუ გამთანაბრებლები? უნდა ვიფიქროთ, რომ ვინც ეხლა იცავს სატარიფო სისტემას გათანაბრების „პრინციპებზე", კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის განსხვავების გათვალისწინების გარეშე, ის კავშირს სწყვეტს მარქსიზმთან, კავშირს სწყვეტს ლენინიზმთან. მრეწველობის თვითეულ დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საამქროში არიან ცოტად თუ ბევრად კვალიფიციური მუშების ხელმძღვანელი ჯგუფები, რომელნიც პირველ ყოვლისა და უმთავრესად უნდა შევინარჩუნოთ წარმოებაში, თუ ჩვენ მართლა გვინდა უზრუნველვყოთ საწარმოების მუშების მუდმივი შემადგენლობა. მუშების ეს ხელმძღვანელი ჯგუფები შეადგენენ წარმოების ძირითად რგოლს. მათი შენარჩუნება საწარმოში, საამქროში ნიშნავს მუშების მთელი შემადგენლობის შენარჩუნებას, მუშა-ხელის ცვალებადობისათვის ძირის გამოთხრას. ხოლო როგორ უნდა შევინარჩუნოთ ისინი საწარმოში? მათი შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ მათი წინ წაწევით, მათი ხელფასის დონის გადიდებით, ხელფასის ისეთი ორგანიზაციით, რომელიც სათანადოს მიუზღავს მუშაკის კვალიფიკაციას. ხოლო რას ნიშნავს წინწაწევა, მათი ხელფასის დონის გადიდება? ეს, გარდა ყოველივე დანარჩენისა, იმას ნიშნავს, რომ პერსპექტივა გავუხსნათ არაკვალიფიციურ მუშებს, მივცეთ მათ სტიმული წინწაწევისათვის, კვალიფიციურთა თანრიგში მოხვედრისათვის. თქვენ თვითონ იცით, რომ ჩვენ ეხლა ასი ათასობით და მილიონობით გვესაჭიროება კვალიფიციური მუშები. მაგრამ, რომ შევქმნათ კვალიფიციური მუშები, მოუმზადებელ მუშებს უნდა მივსცეთ სტიმული, წინწაწევის პერსპექტივა. და რაც უფრო გაბედულად დავადგებით ჩვენ ამ გზას, მით უკეთესია, ვინაიდან ამაშია ძირითადი საშუალება მუშა - ხელის ცვალებადობის ლიკვიდაციისათვის. ამ საქმეზე ეკონომიის გაწევა ნიშნავს ბოროტმოქმედების ჩადენას, ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის ინტერესების წინააღმდეგ გალაშქრებას.

ყველაფერი ეს არ კმარა; მუშების მისამაგრებლად საწარმოებზე, საჭიროა კიდევ მუშათა მომარაგების და საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესება. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საბინაო მშენებლობის და მუშათა მომარაგების დარგში ბევრი რამ გაკეთდა უკანასკნელ წლებში. მაგრამ ის, რაც გაკეთდა სრულიად არ კმარა იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მუშათა მოთხოვნილებანი, რომლებიც სწრაფად იზრდება. არ შეიძლება იმაზე მითითება, რომ წინად ბინები უფრო ცოტა იყო, ვიდრე ეხლა, რომ ამიტომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მიღწეული შედეგებით. არ შეიძლება აგრეთვე იმაზე მითითება, რომ წინად მუშათა მომარაგება გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ეხლაა, რომ ამიტომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ არსებული მდგომარეობით. მხოლოდ დამპალ და საბოლოოდ გამოყეყეჩებულ ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდდნენ წარსულზე მითითებით. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ არა წარსულით, არამედ მუშათა გაზრდილი მოთხოვნილებებით; ამჟამად უნდა შევიგნოთ, რომ მუშათა არსებობის პირობები ჩვენში რადიკალურად შეიცვალა. ეხლა მუშა ის აღარ არის, რაც წინად იყო. ეხლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას სურს ისე იცხოვროს, რომ დააკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი სურსათის მომარაგების მხრით, ბინის მხრით, კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილებების უზრუნველყოფის მხრით. მას აქვს ამის უფლება და ვალდებული ვართ უზრუნველვყოთ მისთვის ეს პირობები. მართალია, მას არ აწუხებს ჩვენში უმუშევრობა, იგი თავისუფალია კაპიტალიზმის უღლისაგან, ის უკვე მონა კი აღარ არის, არამედ თავისი საქმის ბატონ-პატრონია. მაგრამ ეს ცოტაა. ის მოითხოვს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უზრუნველყოფას, ჩვენ ვალდებული ვართ შევასრულოთ მისი ეს მოთხოვნა. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ეხლა ჩვენ თვითონ ერთგვარ მოთხოვნებს ვუყენებთ მუშას — მოვითხოვთ მისგან შრომის დისციპლინას, შეუპოვარ მუშაობას, შეჯიბრებას და დამკვრელობას. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ მუშათა დიდმა უმრავლესობამ საბჭოთა ხელისუფლების ეს მოთხოვნები დიდი აღტკინებით მიიღო და გმირულად ასრულებს მათ. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნების განხორციელებასთან ერთად მუშები თავიანთი მხრით მოითხოვენ მისგან ვალდებულებათა შესრულებას მუშების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

ამრიგად, მუშა - ხელის ცვალებადობის მოსპობა, გათანასწორების მოსპობა, სამუშაო ხელფასის სწორი ორგანიზაცია, მუშათა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება — ასეთია ამოცანა. ასე სდგას ჩვენი მრეწველობის განვითარების მეორე ახალი პირობის საკითხი.

გადავიდეთ მესამე პირობის საკითხზე.

3. შრომის ორგანიზაცია

მე ზევით ვლაპარაკობდი მუშა-ხელის ლიკვიდაციის აუცილებლობის შესახებ, საწარმოებზე მუშების მიმაგრების შესახებ. მაგრამ მუშათა მიმაგრებით არ ამოიწურება მთელი საქმე, არ კმარა მუშა - ხელის ცვალებადობის მოსპობა. საჭიროა აგრეთვე მუშების ჩაყენება შრომის ისეთ პირობებში, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ იმუშაონ აზრიანად, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. მაშასადამე, საჭიროა შრომის ისეთი ორგანიზაცია საწარმოებში, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდებოდეს ყოველთვიურად, ყოველ კვარტალში. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ შრომის ეხლანდელი ფაქტიური ორგანიზაცია ჩვენს საწარმოებში აკმაყოფილებს წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს? სამწუხაროდ, არ შეიძლება ამის თქმა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობენ მთელი რიგი საწარმოები, სადაც შრომის ორგანიზაცია ძალიან ცუდად არის მოგვარებული, სადაც მუშაობაში წესრიგისა და შეთანხმების ნაცვლად ადგილი აქვს უწესრიგობას და არევ-დარევას, სადაც მუშაობისათვის პასუხისმგებლობის ნაცვლად გამეფებულია სრული უპასუხისმგებლობა და გაუპიროვნება. რა არის გაუპიროვნება? გაუპიროვნება არის სრული უპასუხისმგებლობა მინდობილი მუშაობისთვის, უპასუხისმგებლობა მექანიზმების, დაზგების და ინსტრუმენტების მოვლისათვის. გასაგებია, რომ გაუპიროვნების დროს ლაპარაკიც არ შეიძლება შრომის ნაყოფიერების რაიმე სერიოზულ აწევაზე, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებაზე, მექანიზმებისა, დაზგებისა და ინსტრუმენტებისადმი ფრთხილად მოპყრობაზე. თქვენ იცით, რა მოჰყვა გაუპიროვნებას რკინის გზის ტრანსპორტზე. ასეთივე შედეგებამდე მიჰყავს მას მრეწველობა. ჩვენ მოვსპეთ გაუპიროვნება რკინის გზაზე და გავაუმჯობესეთ მისი მუშაობა. ასევე უნდა მოვიქცეთ მრეწველობაში, რათა ავიყვანოთ მისი მუშაობა უმაღლეს საფეხურზე. წინად კიდევ შეიძლებოდა ასე თუ ისე „იოლად" წასვლა შრომის იმ არა სწორი ორგანიზაციით, რომელიც მოხერხებულად ეგუება გაუპიროვნებას და უპასუხისმგებლობას მიცემული კონკრეტული სამუშაოსთვის. ეხლა სხვა საქმეა. ეხლა გარემოება სულ სხვანაირია. წარმოების ეხლანდელი გრანდიოზული მასშტაბების დროს გიგანტების—საწარმოების არსებობის დროს გაუპიროვნება ისეთი უბედურებაა მრეწველობისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ჩვენ საწარმოო და საორგანიზაციო მიღწევებს საწარმოში. როგორ შესძლო განმტკიცება გაუპიროვნებამ მთელ რიგ ჩვენს საწარმოებში? იგი საწარმოებში მივიდა, როგორც განუწყვეტელი მუშაობის უკანონო თანამგზავრი.

ასეა საქმე მაგალითად, რკ.-გზის ტრანსპორტზე, სადაც ეხლა განუწყვეტელი სამუშაო კვირა არსებობს, მაგრამ სადაც უკვე აღარ არის გაუპიროვნება. შეიძლება ითქვას, რომ სამრეწველო საწარმოებშიაც ასეთივე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა განუწყვეტელი მუშაობის ხაზით? სამწუხაროდ ამის თქმა არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ მთელი რიგი საწარმოები განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადავიდენ ძალიან დაგვიანებით, შესაფერი პირობების მოუმზადებლად, ხარისხისა და კვალიფიკაციის მხრით ცოტათ თუ ბევრად თანაბარი ცვლების სათანადოთ მოუწყობლად, ყოველივე კონკრეტული სამუშაოსათვის თვითეულის პასუხისმგებლობის დაუწესებლად. აი ამან გამოიწვია ის, რომ განუწყვეტელი მუშაობა, რომელსაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა, გადაიქცა გაუპიროვნებად. შედეგად მთელ რიგ საწარმოებში ჩვენ გვაქვს განუწყვეტელი მუშაობა ქაღალდზე და სიტყვიერად და გაუპიროვნება რეალურად და არა ქაღალდზე. შედეგად მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა, დაუდევარი დამოკიდებულება მექანიზმებისადმი, დაზგების მასიური დამტვრევა, სტიმულის უქონლობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ტყუილა კი არ ამბობენ მუშები: „ჩვენ გავადიდებდით შრომის ნაყოფიერებას და გავაუმჯობესებდით საქმეს, მაგრამ ვინ დაგვაფასებს, როცა არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს"-ო, აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი აჩქარდა განუწყვეტელი მუშაობის შემოღებაში და აჩქარების გამო დაამახინჯა განუწყვეტელი მუშაობა, გადააქცია იგი გაუპიროვნებად. ამ მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის და გაუპიროვნების მოსასპობად არსებობს ორი გამოსავალი. ან ისე უნდა შევცვალოთ განუწყვეტელი მუშაობის შემოღების პირობები, რომ განუწყვეტელი მუშაობა არ გადაიქცეს გაუპიროვნებად, როგორც ეს მოხდა რკინის გზის ტრანსპორტზე. ან, იქ, სადაც ამჟამად არ არის ხელსაყრელი პირობები ასეთი გამოცდილებისათვის, უნდა მოისპოს ქაღალდზე არსებული განუწყვეტელი მუშაობა და დროებით გადავიდეთ ექვსდღიან სამუშაო კვირაზე, როგორც ეს მოიმოქმედეს ამას წინად სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში, უნდა მოვამზადოთ პირობები იმისათვის, რომ შემდეგ დავუბრუნდეთ ნამდვილ და არა ქაღალდზე არსებულ განუწყვეტელ მუშაობას. დავუბრუნდეთ განუწყვეტელ მუშაობას გაუპიროვნების გარეშე. სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენ სამეურნეო მუშაკებს უეჭველად საკმაოდ კარგად ესმით ყოველივე ეს, მაგრამ ისინი სდუმან. რატომ? როგორც სჩანს, იმიტომ, რომ ეშინიათ სიმართლის, მაგრამ როდის იყო, რომ ბოლშევიკებს ეშინოდათ სიმართლის? განა სწორე არ არის, რომ მთელ რიგ საწარმოებში განუწყვეტელი მუშაობა გადაიქცა გაუპიროვნებად, რომ განუწყვეტელი მუშაობა, ამ რიგად, უაღრესად დამახინჯდა? იბადება კითხვა — ვის სჭირდება ასეთი განუწყვეტელი მუშაობა? იბადება კითხვა — ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ასეთი, ქაღალდზე არსებული განუწყვეტელი მუშაობის შენარჩუნების ინტერესები მაღლა სდგას შრომის სწორი ორგანიზაციის ინტერესებზე, მაღლა სდგას შრომის ნაყოფიერების განვითარების ინტერესებზე, მაღლა სდგას ნამდვილი განუწყვეტელი მუშაობის ინტერესებზე, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ინტერესებზე? განა ცხადი არაა, რომ რაც უფრო მალე დავასამარებთ ქაღალდზე არსებულ განუწყვეტელ მუშაობას, მით უფრო მალე მივაღწევთ ნამდვილ, არა ქაღალდზე არსებულ განუწყვეტელი მუშაობის არსებულ განუწყვეტელი მუშაობის ორგანიზაციას? ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ გაუპიროვნების მოსპობა შეიძლება შელოცვით და მაღალფარდოვანი სიტყვებით. ყოველ შემთხვევაში მე ვიცნობ მთელ რიგ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც თავიანთ ბრძოლაში გაუპიროვნების წინააღმდეგ კმაყოფილდებიან იმით, რომ გამოდიან კრებებზე და წყევლა-კრულვით იხსენიებენ გაუპიროვნებას, ალბად ფიქრობენ, რომ ასეთი სიტყვების შემდეგ გაუპიროვნება მოისპობა თავის-თავად, ასე ვთქვათ, თვითმდინარეობის წესით.

ისინი ღრმად სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ გაუპიროვნება შეიძლება პრაქტიკიდან აღმოფხვრილ იქნას სიტყვებით და დაწყევლით. არა, ამხანაგებო, გაუპიროვნება თავისთავად არასოდეს არ გაქრება, იგი შეგვიძლია და უნდა მოვსპოთ მხოლოდ თვითონ ჩვენ, ვინაიდან ჩვენ თქვენთან ერთად ხელისუფლების სათავეში ვდგევართ, ჩვენ თქვენთან ერთად პასუხისმგებელი ვართ ყველაფრისათვის, სხვათა შორის, გაუპიროვნებისათვის, მე ვფიქრობ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები იმის მაგივრად, რომ გართული იყვნენ სიტყვებით და წყევლით, ერთ-ორი თვე დაყოვნდნენ, ვთქვათ, მაღაროში ან ქარხანაში, შეისწავლიდნენ შრომის ორგანიზაციის ყველა დეტალებს და „წვრილმანებს", იქ ნამდვილად მოსპობენ გაუპიროვნებას და შემდეგ აღებულ საწარმოს გამოცდილებას სხვებზე გაავრცელებენ. ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა. ეს იქნებოდა ნამდვილი ბრძოლა გაუპიროვნების წინააღმდეგ, ბრძოლა შრომის სწორი ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის. ბრძოლა ძალების სწორი განაწილებისათვის საწარმოში.

მაშ, გაუპიროვნების ლიკვიდაცია, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, ძალების სწორი განაწილება საწარმოში — ასეთია ამოცანა. ასეთია ჩვენი მრეწველობის განვითარების მესამე ახალი პირობის საკითხის მდგომარეობა.

გადავიდეთ მეოთხე პირობის საკითხზე.

4. მუშათა კლასის საწარმოო-ტეხნიკური ინტელიგენციის საკითხი

შეიცვალა საქმის ვითარება მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის მიმართ საერთოდ და საინჟინრო - ტეხნიკური პერსონალის მიმართ კერძოდ. წინად ჩვენში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ მთელი ჩვენი მრეწველობის ძირითად წყაროს წარმოადგენდა უკრაინის ქვა-ნახშირის და მეტალურგიის ბაზა.

უკრაინა ლითონით ამარაგებდა ყველა ჩვენ სამრეწველო რაიონებს როგორც სამხრეთს, ისე მოსკოვსა და ლენინგრადს. იგივე ამარაგებდა ქვანახშირით საბჭოთა კავშირის ძირითად საწარმოებს, მე აქ მხედველობაში არ ვღებულობ ურალს, ვინაიდან ურალის ხვედრითი წონა, დონბასთან შედარებით, შეადგენდა უმნიშვნელო ოდენობას, ამასთან შეფარდებით ჩვენ გვქონდა სამი ძირითადი კერა, მრეწველობის მეთაურთა გამოსამუშავებლად: სამხრეთი, მოსკოვის რაიონი და ლენინგრადის რაიონი. გასაგებია, რომ საქმის ასეთი მდგომარეობის დროს ჩვენ შეგვეძლო ასე თუ ისე დავკმაყოფილებულიყავით საინჟინრო - ტეხნიკურ ძალების იმ მინიმუმით, რომელიც მაშინ ჩვენს ქვეყანას გააჩნდა.

ასე იყო ახლობელ წარსულში, მაგრამ ახლა სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს. მე ვფიქრობ, ახლა აშკარაა, რომ თუ გვინდა შევინარჩუნოთ განვითარების ახლანდელი ტემპები და წარმოების გიგანტური მასშტაბები, ჩვენ არ შეგვიძლია დავემყაროთ მარტო უკრაინის ქვა-ნახშირის და მეტალურგიის ბაზას. თქვენ იცით, რომ ჩვენ უკვე არ გვყოფნის უკრაინის ქვა-ნახშირი და ლითონი, მიუხედავად მათი წარმოების ზრდისა. თქვენ იცით, რომ ამის გამო, ჩვენ იძულებული ვართ შევქმნათ ქვა-ნახშირის და მეტალურგიის ახალი ბაზა აღმოსავლეთში — ურალსა და კუზბასში. თქვენ იცით, რომ ჩვენ ამ ბაზას წარმატებით ვქმნით, მაგრამ ეს ცოტაა, ჩვენ უნდა შევქმნათ აგრეთვე მეტალურგია თვით ციმბირში მისი გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ მას უკვე ვქმნით. გარდა ამისა, ჩვენ უნდა შევქმნათ ფერადი მეტალურგიის ახალი ბაზა კაზაკსტანსა და თურქესტანში. ბოლოს, ჩვენ უნდა განვავითაროთ უფართოესი სარკინიგზო მშენებლობა. ამას გვიკარნახებენ საბჭოთა კავშირის ინტერესები მთლიანად და განაპირა რესპუბლიკების ინტერესები, ისე როგორც ცენტრის ინტერესებიც. მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მეთაურთა საინჟინრო-ტეხნიკური ძალების იმ მინიმუმით მრეწველობაში, რომლითაც წინად ვკმაყოფილდებით.

აქედან გამომდინარეობს, რომ საინჟინრო - ტეხნიკურ ძალების მომზადების ძველი კერები უკვე საკმარისი არ არის, რომ საჭიროა შევქმნათ ახალი კერების მთელი ქსელი ურალზე, ციმბირში და შუა-აზიაში. ჩვენ ახლა თავი უნდა უზრუნველვყოთ სამჯერ და ხუთჯერ მეტი საინჟინრო-ტეხნიკურ მეთაურთა ძალებით მრეწველობისათვის, თუ მართლა გვსურს განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამა. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველგვარი საინჟინრო - ტეხნიკურ მეთაურთა ძალები, ჩვენ გვესაჭიროება ისეთი მეთაურთა საინჟინრო-ტეხნიკური ძალები, რომელთაც შეეძლებათ გაიგონ ჩვენი მუშათა კლასის პოლიტიკა, შეეძლებათ შეითვისონ ეს პოლიტიკა და რომელნიც მზად იქნებიან იგი სინიდისის ქვეშ განახორციელონ.

ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ფაზაში, როცა მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო - ტეხნიკური ინტელიგენცია, რომელსაც შეეძლება დაიცვას მისი, როგორც გაბატონებული კლასის, ინტერესები წარმოებაში. არც ერთი გაბატონებული კლასი არ ყოფილა თავისი საკუთარი ინტელიგენციის გარეშე. არავითარი საფუძველი არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასსაც არ შეუძლია თავისი საწარმოო - ტეხნიკური ინტელიგენციის გარეშე დარჩეს. საბჭოთა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და უმაღლესი სასწავლებლების კარები გაუხსნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს მუშათა კლასიდან გამოსულ ადამიანებისათვის. თქვენ იცით, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მრავალი ათასი სწავლობს ახლა უმაღლეს სასწავლებლებში. თუ წინად კაპიტალიზმის დროს უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენდენ ბატონების შვილთა მონოპოლიას, ახლა საბჭოთა წყობილების დროს იქ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა შეადგენს მთავარ ძალას. უეჭველია, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მალე მოგვცემს მრავალ ათას ახალ ტეხნიკოსს და ინჟინერს, ახალ მეთაურებს ჩვენი მრეწველობისათვის.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. საქმის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა კლასის საწარმოო - ტეხნიკური ინტელიგენცია მომზადდება არა მარტო ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც უმაღლესი სკოლა განვლეს — ის შევსებული იქნება აგრეთვე ჩვენი საწარმოების პრაქტიკულ მუშაკებისაგან, კვალიფიციურ მუშებისა და მუშათა კლასის კულტურული ძალებისაგან, ქარხნის, ფაბრიკის და მაღაროს ძალებისაგან. შეჯიბრების ინიციატორები, დამკვრელი ბრიგადების მეთაურები, შრომითი აღტკინების პრაქტიკული სულისჩამდგმელნი, მშენებლობის ამა თუ იმ დარგებში სამუშაოთა ორგანიზატორები, — აი, მუშათა კლასის ახალი ფენა, რომელმაც უმაღლეს სკოლა განვლილ ამხანაგებთან ერთად უნდა შეადგინოს მუშათა კლასის ინტელიგენციის ბირთვი, ჩვენი მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობითი ბირთვი.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავჩრდილოთ ინიციატივის მქონე ეს ამხანაგები, გაბედულად დავაწინაუროთ ისინი მეთაურთა თანამდებობებზე, მივცეთ მათ საშუალება გამოიჩინონ თავიანთი ორგანიზატორული ნიჭი, მივცეთ მათ საშუალება შეავსონ თავიანთი ცოდნა, შევქმნათ მათთვის სათანადო პირობები და ამისათვის ფული არ დავიშუროთ. ამ ამხანაგებს შორის უპარტიო ცოტა არ ურევია. მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს იმის დაბრკოლებად, რომ ისინი უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, პირიქით, საჭიროა სწორედ მათ, ამ უპარტიო ამხანაგებს, მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და დავაწინაუროთ ისინი მეთაურთა თანამდებობებზე, რათა ისინი საქმით დარწმუნდენ, რომ პარტიას შეუძლია დააფასოს ნიჭიერი და ტალანტის მქონე მუშაკები. ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობს, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ფაბრიკებსა და ქარხნებში საჭიროა დავაწინაუროთ მხოლოდ პარტიული ამხანაგები.

ამის გამო ისინი ხშირად ჩრდილავენ ნიჭიერსა და ინიციატივის მქონე უპარტიო ამხანაგებს და პირველ ადგილზე აყენებენ უფრო ნაკლები ნიჭისა და ნაკლები ინიციატივის მქონე პარტიელებს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ, უკაცრავად პასუხია, „პოლიტიკაზე" უფრო სულელური და რეაქციონური არაფერია. ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ ასეთი „პოლიტიკით" შეიძლება მხოლოდ პარტიის სახელის გატეხა და პარტიისაგან უპარტიო მუშების ჩამოცილება. ჩვენი პოლიტიკა სრულიადაც არ გამოიხატება იმაში, რომ პარტია გადავაქციოთ კარჩაკეტილ კასტად. ჩვენი პოლიტიკა გამოიხატება იმაში, რომ პარტიულ და უპარტიო მუშებს შორის არსებობდეს „ურთიერთობის" ატმოსფერა, „ურთიერთ შემოწმების" ატმოსფერა (ლენინი). ჩვენი პარტია, სხვათა შორის, იმიტომ არის ძლიერი მუშათა კლასში, რომ იგი სწორედ ასეთ პოლიტიკას ატარებს.

ამრიგად მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ჰყავდეს თავისი საკუთარი საწარმოო-ტეხნიკური ინტელიგენცია — ასეთია ამოცანა. ასე დგას ჩვენი მრეწველობის განვითარების მეოთხე ახალი პირობის საკითხი.

გადავიდეთ მეხუთე პირობის საკითხზე.

5. მობრუნების ნიშნები ძველ საწარმოო-ტეხნიკურ ინტელიგენციაში

სხვაგვარად იდგმება აგრეთვე ძველი ბურჟუაზიული საწარმოო - ტეხნიკური ინტელიგენციის საკითხი. ორი წლის წინად ჩვენში იმგვარად იყო საქმე, რომ ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის უფრო კვალიფიციური ნაწილი შეპყრობილი იყო მავნებლობის სენით.

უფრო მეტი, მავნებლობა მაშინ წარმოადგენდა თავისებურ მოდას. ერთნი მავნებლობას ეწეოდნენ, მეორენი ხელს აფარებდნენ მავნებლებს, მესამენი ხელს იბანდნენ და ნეიტრალიტეტს იცავდენ, მეოთხენი მერყეობდენ, ინტელიგენციის ნაწილი განაგრძობდა მუშაობას ცოტად თუ ბევრად ლოიალურად. მაგრამ აქ საქმე ეხება არა უმრავლესობას, არამედ ტეხნიკურ ინტელიგენციის ყველაზე კვალიფიციურ ნაწილს. რამ შექმნა მავნებლური მოძრაობა, რამ შეუწყო მას ხელი, კლასობრივ ბრძოლის გამწვავებამ საბჭოთა კავშირის შიგნით, საბჭოთა ხელისუფლების შეტევითმა პოლიტიკამ ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების მიმართ, ამ უკანასკნელების წინააღმდეგობამ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისადმი (გამოტოვებულია), საერთაშორისო მდგომარეობამ, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სიძნელეებმა. თუ მავნებლების მებრძოლი ნაწილის აქტივობას ზურგს უმაგრებდა კაპიტალისტურ ქვეყნების იმპერიალისტების ინტერვენციონისტული ზრახვები და სიძნელენი პურის საკითხში ქვეყნის შიგნით, ტეხნიკური ინტელიგენციის მეორე ნაწილის მერყეობას აქტიური მავნებლებისაკენ აძლიერებდა ტროცკისტულ - მენშევიკურ მოლაყბეების მოდის ლაპარაკი, იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან სულერთია არაფერი გამოვა, „საბჭოთა ხელისუფლება სულერთია გადაგვარების გზას ადგას, და მოკლე ხანში უნდა დაეცეს", „ბოლშევიკები თავიანთი პოლიტიკით თვითონ უწყობენ ხელს ინტერვენციას" და სხვ. გარდა ამისა, თუ ზოგიერთი ძველი ბოლშევიკიც კი მემარჯვენე უკლონისტების რი-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. სტალინის სიტყვა

ცხვიდან აყვა „მოდას“ და ამ პერიოდში პარტიას დაშორდა, არა გვაქვს საფუძველი გავიკვირვოთ, რომ ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის განსაზღვრულმა ნაწილმა, რომელსაც არასოდეს არ უყნოსნია ბოლშევიზმი, ღვთის წყალობით აგრეთვე მერყეობა გამოიჩინა.

გასაგებია, რომ ასეთ მდგომარეობაში საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო მხოლოდ ერთად - ერთი პოლიტიკა გაეტარებია ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის მიმართ, აქტიური მავნებლების განადგურების, ნეიტრალურ პირთა დიფერენციაციის და ლოიალურთა მიმხრობის პოლიტიკა. ასე იყო ერთი-ორი წლის წინად. განა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ახლა სწორედ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს? არა, ამის თქმა არ შეიძლება. პირიქით, ჩვენში ეხლა სრულიად სხვა მდგომარეობა შეიქმნა. საქმე იმით დაიწყო, რომ ჩვენ დავამარცხეთ ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები და წარმატებით ვსძლევთ მათ. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება უხაროდეს ძველ ინტელიგენციას. ძალიან შესაძლებელია, რომ ისინი კვლავ თანაგრძნობას უცხადებენ თავიანთ დამარცხებულ მეგობრებს. მაგრამ ისე არ ხდება, რომ თანამგრძნობნი და მით უფრო ნეიტრალური და მერყევი ელემენტები ნებაყოფლობით დათანხმდენ; გაიზიარონ თავიანთი აქტიური მეგობრების ბედი მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელებმა სასტიკი და გამოუსწორებელი დამარცხება განიცადეს. შემდეგ, ჩვენ დავსძლიეთ პურის სიძნელეები და არა მარტო დავძლიეთ, არამედ საზღვარგარეთ გავიტანეთ პურის ისეთი რაოდენობა, როგორიც არ გაგვიტანია ჯერ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში. მაშასადამე ბათილდება მერყევი ელემენტების ეს „არგუმენტი“. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ფრონტზე ჩვენ აშკარად გავიმარჯვეთ და მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს. მაშასადამე, ყველაზე მთავარი ძველი ინტელიგენციის „არსენალში“ უფსკრულს ჩაბარდა.

რაც შეეხება ბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტერვენციონისტულ იმედებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი აღმოჩნდენ, ჯერ - ჯერობით მაინც, ქვიშაზე აგებულ სახლად.

მართლაც, 6 წელიწადია, რაც ინტერვენციას გვემუქრებიან და ერთხელაც არ უცდიათ განეხორციელებიათ იგი. დროა აღიარებულ იქნას, რომ ჩვენს შორსმჭვრეტელ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას პირდაპირ ასულელებდენ. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ აქტიური მავნებლების ყოფაქცევას სასამართლოს ცნობილ პროცესზე მოსკოვში სახელი უნდა გაეტეხა მავნებლობის იდეისათვის და მართლაც გაუტეხა სახელი.

გასაგებია, რომ ამ ახალ გარემოებებს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინათ ჩვენს ძველ ტეხნიკურ ინტელიგენციაზე. ახალ მდგომარეობას უნდა შეექმნა და მან კიდეც შექმნა ახალი განწყობილება ძველ ტეხნიკურ ინტელიგენციაში. ნამდვილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს ამ ინტელიგენციის იმ განსაზღვრული ნაწილის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მობრუნების ფაქტები, რომელიც წინად თანაუგრძნობდა მავნებლებს. ის ფაქტი (გაბოლოვებულია)... რომ გუშინდელი მავნებლების საგრძნობი ნაწილი მუშაობას იწყებს მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშათა კლასთან ერთად, ეს ფაქტი უდავოდ გვეუბნება, იმას, რომ უკვე დაიწყო მობრუნება ძველ ტეხნიკურ ინტელიგენციაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში უკვე არ მოიპოვებიან მავნებლები. არა, არა ნიშნავს. მავნებლები არიან და იქნებიან, სანამ ჩვენში არსებობენ კლასები, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რაკი ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი, რომელიც წინად ასე თუ ისე თანაუგრძნობდა მავნებლებს, ახლა მობრუნდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, აქტიური მავნებლები ცოტანი დარჩნენ, ისინი განმარტოებულნი არიან და ისინი გარკვეულ დრომდე უნდა მიიმალონ.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ ამის დამიხედვით უნდა შეიცვალოს ჩვენი პოლიტიკა ძველი ტეხნიკური ინტელიგენციის მიმართ, თუ მავნებლობის გაჩაღების დროს ჩვენი დამოკიდებულება ძველი ტეხნიკური ინტელიგენციისადმი გამოიხატებოდა უმთავრესად, განადგურების პოლიტიკაში, ეხლა, როდესაც ამ ინტელიგენციამ პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, ჩვენი დამოკიდებულება მისდამი უნდა გამოიხატოს, უმთავრესად, მისი მოზიდვისა და მისთვის ზრუნვის პოლიტიკაში. არა სწორი და არა დიალექტიური იქნებოდა ახალ გამოცვლილ პირობებში განგვეგრძო ძველი პოლიტიკა, სისულელე და უგუნურობა იქნებოდა, რომ ძველი სკოლის თითქმის ყოველ სპეციალისტს და ინჟინერს უყურებდეთ ისე, როგორც არ დაჭერილი ბოროტმოქმედს და მავნებელს. „სპეცჭამიობა“ ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც რჩება ჩვენში მავნებელი და სამარცხვინო მოვლენად ამ რიგად, დამოკიდებულების შეცვლა ძველი სკოლის ინჟინერ - ტეხნიკოსებისადმი, მეტი ყურადღების მიქცევა მათთვის და მეტი მზრუნველობა მათზე, მათი გაბედულად ჩაბმა მუშაობაში — ასეთია ამოცანა. ასეთ მდგომარეობაშია საკითხი ჩვენი მრეწველობის განვითარების მეხუთე ახალი პირობის შესახებ.

გადავიდეთ უკანასკნელ პირობაზე.

6. სამეურნეო ანგარიშის შესახებ

სურათი სრული არ იქნებოდა, თუ არ შევეხებოდი ერთ ახალ პირობასაც, ლაპარაკია მრეწველობისა და სახალხო მეურნეობისათვის დაგროვების წყაროებზე და ამ დაგროვების ტემპების გაძლიერებაზე. რა არის ახალი და განსაკუთრებული ჩვენი მრეწველობის განვითარებაში დაგროვების თვალსაზრისით? ის, რომ დაგროვების ძველი წყაროები უკვე სამყოფი აღარ არის მრეწველობის შემდეგი გაშლისათვის, ის, რომ საჭიროა, მაშასადამე, გამოვძებნოთ დაგროვების ახალი წყაროები და გავაძლიეროთ ძველი წყაროები, თუ ჩვენ მართლაც გვინდა დავიცვათ და განვავითაროთ ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპები.

კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიიდან ცნობილია, რომ არც ერთ ახალგაზრდა სახელმწიფოს, რომელსაც მოუსურვებია ინდუსტრიის უმაღლეს საფეხურზე აწევა, გვერდი ვერ აუქცევია გარედან დახმარებისათვის — გრძელვადიანი კრედიტებისა ან სესხების სახით. ამის გამო დასავლეთ ქვეყნების კაპიტალისტებმა გადაჭრილი უარი უთხრეს ჩვენ მრეწველობას კრედიტებისა და სესხების მიცემაზე, ისინი ფიქრობდენ, რომ კრედიტებისა და სესხების უქონლობა ძირს გამოუთხრის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. კაპიტალისტები შესცდნენ. მათ მხედველობაში არ მიიღეს ის, რომ ჩვენ ქვეყანას, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოეპოვება დაგროვების ზოგიერთი განსაკუთრებული წყაროები, რაც საკმაოა იმისათვის, რომ აღდგენილ და შემდგომად განვითარებულ იქნას ინდუსტრია. მართლაც, ჩვენ არა თუ აღვადგინეთ მრეწველობა, არა თუ აღვადგინეთ სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი, ჩვენ მოვასწარით რელსებზე დაგვეყენებია მძიმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის რეკონსტრუქციის გრანდიოზული საქმე. გასაგებია, რომ ამ საქმეს ხმარდებოდა ათობით მილიარდი მანეთები. საიდან ვიღებდით ამ მილიარდებს? მსუბუქი მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობიდან და საბიუჯეტო დაგროვებებიდან. ასე მიდიოდა ჩვენში საქმე უკანასკნელ დრომდე. სულ სხვანაირ მდგომარეობაშია საქმე ამჟამად, თუ წინად მრეწველობის და ტრანსპორტის რეკონსტრუქციისთვის გვყოფნიდა დაგროვების ძველი წყაროები, ეხლა ისინი აშკარად აღარა გვყოფნის. საქმე ეხლა ეხება არა იმას, რომ მოვახდინოთ ძველი მრეწველობის რეკონსტრუქცია. საქმე ეხება ტეხნიკურად შეიარაღებული ახალი მრეწველობის შექმნას ურალზე, ციმბირში და კაზაკსტანში.

საქმე ეხება ახალ მსხვილ სასოფლო - სამეურნეო წარმოების შექმნას საბჭოთა კავშირის მარცვლეულის, მეცხოველეობისა და ნედლეულის რაიონებში. საქმე ეხება რკინის გზათა ახალი ქსელის შექმნას საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გასაგებია, რომ დაგროვების ძველი წყაროები არ შეიძლება ეყოს ამ ბუმბერაზულ საქმეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. ამას უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ, საქმის უყაირათოდ წარმოების წყალობით, სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს ძირი გამოეთხარათ მთელ რიგ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში. ფაქტია, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში დიდი ხანია თავი მიანებეს ანგარიშს, კალკულიაციას და შემოსავლისა და გასავლის დასაბუთებული ბალანსების შედგენას. ფაქტია, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში დიდი ხანია მოდიდან გამოვიდა ცნებები: „მომჭირნეობის რეჟიმი“, „უნაყოფო ხარჯების შემცირება“, „წარმოების რაციონალიზაცია“. აშკარაა, მათ იმედი აქვთ, რომ სახელმწიფო ბანკი „სულ ერთია თანხებს მოგვცემს“. ფაქტია, რომ უკანასკნელ დროს თვითღირებულებამ მთელ რიგ საწარმოებში იწყო ზევით აწევა. მათ მიეცათ დავალება 10 და მეტი პროცენტით შეამცირონ თვითღირებულება, ისინი კი მას ადიდებენ. რა არის თვითღირებულების შემცირება? თქვენ იცით, რომ თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტი ნიშნავს მრეწველობის შიგნით 150—200 მილიონი მანეთის დაგროვებას. ცხადია, რომ ასეთ პირობებში თვითღირებულების გადიდება ნიშნავს ასი მილიონობით დაკარგვას მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

ყველა აქედან გამომდინარეობს, რომ აღარ შეიძლება იოლად წასვლა მარტოოდენ მსუბუქი მრეწველობით, მარტოოდენ საბიუჯეტო დაგროვებით, მარტოოდენ სოფლის მეურნეობის შემოსავლით. მსუბუქი მრეწველობა წარმოადგენს დაგროვების უმდიდრეს წყაროს, მას შემდგომი განვითარების ყველა შანსები აქვს, მაგრამ ეს წყარო უსაზღვრო არ არის. სოფლის მეურნეობა დაგროვების ნაკლებად მდიდარ წყაროს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი თვითონ საჭიროებს ეხლა, მისი რეკონსტრუქციის პერიოდში, სახელმწიფოს ფინანსიურ დახმარებას. რაც შეეხება საბიუჯეტო დაგროვებებს, თქვენ თითონ იცით, რომ ეს დაგროვება არ შეიძლება და არც უნდა იყოს უსაზღვრო. რაღა რჩება? რჩება მძიმე მრეწველობა. მაშასადამე, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მძიმე მრეწველობაც, უპირველეს ყოვლისა კი მისი მანქანათმშენებლობის ნაწილი, იძლეოდეს დაგროვებას. მაშასადამე, დაგროვების ძველი წყაროების გაძლიერებასა და გაშლასთან ერთად, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მძიმე მრეწველობა, უპირველეს ყოვლისა კი მანქანათმშენებლობა, დაგროვებას იძლეოდეს. ამაშია გამოსავალი. ხოლო რა არის ამისთვის საჭირო? უყაირათობის მოსპობა, მრეწველობის შინაგანი რესურსების მობილიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება ჩვენს საწარმოებში, თვითღირებულების სისტემატიური შემცირება, მრეწველობის შიგნით დაგროვების გაძლიერება მრეწველობის გამოუკლებლივ ყველა დარგებში. ასეთია გზა გამოსავლისაკენ. მაშასადამე, დანერგვა და განმტკიცება სამეურნეო ანგარიშისა, მრეწველობის შიგნით დაგროვების გადიდება—ასეთია ამოცანა.

ვიმუშაოთ ახალი წესით, ვუხელმძღვანელოთ ახალი წესით

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი მრეწველობის განვითარების ახალი პირობები. ამ ახალი პირობების მნიშვნელობა იმაშია, რომ ისინი ჩვენი მრეწველობისთვის ჰქმნიან ახალ ვითარებას, რომელიც მოითხოვს მუშაობის ახალ ხერხებს და ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს.

მაშ ასე: ა) ამრიგად გამოდის, რომ უკვე აღარ შეიძლება წინანდებურად იმედი დავამყაროთ მუშა ხელის თავის თავად მოსვლაზე. იმისათვის, რომ მრეწველობა უზრუნველვყოთ მუშა-ხელით, საჭიროა მისი შეგროვება მოწესრიგებულად, საჭიროა შრომის მექანიზაცია, იმის ფიქრი, რომ ჩვენი მუშაობის ტემპების და წარმოების მასშტაბის დროს შეიძლება დავკმაყოფილდეთ უმექანიზაციოთ, ნიშნავს იმედი დავამყაროთ იმაზე, რომ შესაძლებელია ზღვის ამოშრობა კოვზით. შემდეგ გამოდის, რომ შეუძლებელია შევურიგდეთ მომავალში მუშა-ხელის ცვალებადობას მრეწველობაში, ამ ბოროტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სამუშაო ხელფასის ორგანიზაცია ახალ საფუძველზე და მუშათა ცოტათ თუ ბევრად მუდმივი შემადგენლობის შექმნა საწარმოებში.

ბ) შემდეგ გამოდის, რომ უკვე აღარ შეიძლება შევურიგდეთ გაუპიროვნებას წარმოებაში. ამ ბოროტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შრომის ორგანიზაცია ახალ საფუძველზე, ძალების იმ გვარად განაწილება, რომ მუშათა ყოველი ჯგუფი იყოს პასუხისმგებელი მუშაობისათვის, მექანიზმებისათვის, და ზგებისა და მუშაობის ხარისხისათვის.

გ) შემდეგ გამოდის, რომ უკვე შეუძლებელია წინანდებურად დავკმაყოფილდეთ იმ ძველი საინჟინერო - ტეხნიკური ძალების მინიმუმით, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ბურჟუაზიული რუსეთისაგან. ეხლანდელი ტემპებისა და მასშტაბის გასადიდებლად წარმოებაში საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა კლასს ჰყავდეს თავისი საუკეთესო საწარმოო-ტეხნიკური ინტელიგენცია.

დ) შემდეგ გამოდის, რომ არ შეიძლება წინანდებურად ერთ დაფაზე მოვათავსოთ ძველი სკოლის ყველა სპეციალისტები და საინჟინერო ტეხნიკური ძალები. შეცვლილი პირობების აღრიცხვისათვის, საჭიროა შევსცვალოთ ჩვენი პოლიტიკა და გამოვიჩინოთ მაქსიმალური მზრუნველობა იმ სპეციალისტებისა და საინჟინერო-ტეხნიკური ძალების მიმართ, რომლებიც გარკვეულად დადგენ მუშათა კლასის მხარეზე. ბოლოს, გამოდის, რომ არ შეიძლება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დაგროვების ძველი წყაროებით მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა დაგროვების ახალი წყაროების გამოყენება, უყაირათობის მოსპობა, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, თვითღირებულების შემცირება და დაგროვების გადიდება მრეწველობის შიგნით. ასეთია მრეწველობის განვითარების ახალი პირობები, რომლებიც მოითხოვენ მუშაობის ახალ ხერხებს და სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვაგვაროთ ხელმძღვანელობა ახალ წესზე? ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა რომ ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა შეიგნონ ახალი პირობები, კონკრეტულად შეისწავლონ მრეწველობის განვითარების ახალი პირობები და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ახალი პირობების მოთხოვნებთან შეფარდებით. შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები საკითხს მიუდგნენ არა „საერთოდ“, არა „ჰაერიდან“, არამედ კონკრეტიულად, საგნობრივად. საჭიროა, რომ ყოველ საკითხს მიუდგნენ არა ზოგადი ლაყბობის თვალსაზრისით, არამედ უაღრესად საქმიანო, რომ არ დაკმაყოფილდენ მიმოწერით ან საერთო ფრაზებით და ლოზუნგებით, არამედ გაეცნონ საქმის ტეხნიკას, საქმის დეტალებს, გაეცნონ „წვრილმანებს“, ვინაიდან „წვრილმანებიდან“ კეთდება ეხლა დიდი საქმეები. შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი ეხლანდელი უზარმაზარი გაერთიანებანი, რომელთა შემადგენლობაში ზოგჯერ 100-200 საწარმოა, დაუყოვნებლივ დავანაწილოთ და დავყოთ რამდენიმე გაერთიანებად. გასაგებია, რომ იმ გაერთიანების თავმჯდომარეს, რომელსაც 100 და უფრო მეტ ქარხანასთან აქვს საქმე, არ შეუძლია ნამდვილად იცნობდეს ამ ქარხნებს, მათ შესაძლებლობებს, მათ მუშაობას და გასაგებია, რომ თუ ქარხნებს არ იცნობს, იგი ვერ გაუწევს ხელმძღვანელობას მათ. მაშასადამე, იმისათვის, რომ გაერთიანებათა თავმჯდომარეებს საშუალება მივცეთ ნამდვილად შეისწავლონ ქარხნები და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ, საჭიროა მათი განტვირთვა ზედმეტი ქარხნებისაგან, საჭიროა გაერთიანებათა დანაწილება რამდენიმე გაერთიანებად, გაერთიანებათა დაახლოება ქარხნებთან. შემდეგ ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი გაერთიანებანი კოლეგიალური მართვიდან გადავიდნენ ერთპიროვნულ მართვაზე. ამჟამად საქმე ისეა, რომ გაერთიანებათა კოლეგიებში არის 10-15 კაცი, სწერენ ქაღალდებს, კამათობენ. ასე მართვა შემდეგში, ამხანაგებო, არ შეიძლება. უნდა შესწყდეს „ხელმძღვანელობის გაწევა“ ქაღალდით და გადავიდეთ ნამდვილ საქმიან, ბოლშევიკურ მუშაობაზე. დეე, გაერთიანების სათავეში დარჩეს გაერთიანების თავმჯდომარე და რამდენიმე მოადგილე. ეს სავსებით საკმარისი იქნება გაერთიანებათა მართვისათვის. კოლეგიის დანარჩენი წევრები უმჯობესი იქნებოდა გადაგვეყვანა ქვედა საფეხურზე, ფაბრიკა-ქარხნებში. ეს ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა მათთვის. შემდეგ ამისათვის საჭიროა, რომ გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა და მათმა მოადგილეებმა უფრო ხშირად დაათვალიერონ ქარხნები, უფრო მეტ ხანს დარჩენ იქ სამუშაოდ, უფრო მეტად გაეცნონ ქარხნის მუშაკებს და არა მარტო ასწავლონ ადგილობრივ მუშაკებს, არამედ აგრეთვე ისწავლონ მათგან. ცდება ვინც ფიქრობს, რომ ეხლა შეიძლება ხელმძღვანელობის გაწევა კანცელარიიდან, კანტორიდან, ქარხნებისაგან დაშორებით. ქარხნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭიროა უფრო ხშირად ყოფნა საწარმოთა მუშაკებთან, საჭიროა მათთან ცოცხალი კავშირის დაჭერა.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა 1931 წლის საწარმოო გეგმის შესახებ. არიან პარტიასთან ახლოს მდგომი ობივატელები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ჩვენი საწარმოო პროგრამა არ არის რეალური, რომ მისი შესრულება არ შეიძლება. ისინი მოგვაგონებენ შჩედრინის „მოწუწუნე ბრძენთ“, რომლებიც მუდამ მზად არიან გაავრცელონ თავიანთ გარშემო უსუსური აზროვნების სიცალიერე. რეალურია თუ არა ჩვენი საწარმოო პროგრამა? უეჭველად რეალურია, იგი რეალურია თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს ყველა საჭირო პირობები მისი განხორციელებისათვის. იგი რეალურია თუნდაც იმიტომ, რომ მისი შესრულება ეხლა დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს უნარზე, ჩვენს სურვილზე — გამოვიყენოთ ჩვენი უაღრესად მდიდარი შესაძლებლობანი. რით აიხსნება აბა ის ფაქტი, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა და მრეწველობის დარგებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა? სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საწარმოო გეგმა წარმოადგენს ციფრებისა და დავალებების ჩამოთვლას. ნამდვილად საწარმოო გეგმა არის მრავალი მილიონი ადამიანის ცოცხალი პრაქტიკული მუშაობა. ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა—ეს მშრომელთა მილიონებია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა — ეს ჩვენ თითონ ვართ, ჩვენი ნებისყოფა შრომისაკენ, ჩვენი მზად ყოფნა ვიმუშაოთ ახალ წესზე, ჩვენი გადაწყვეტილება — შევასრულოთ გეგმა. გვაქვს თუ არა ჩვენ იგი: ეს გადაწყვეტილება? დიახ გვაქვს. მაშასადამე ჩვენი საწარმოო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს და უნდა განხორციელდეს კიდეც. (ხანგრძლივი ტაში).

მესამე გადამწყვეტი წლის სესხი

არ შევასუსტოთ სესხის რეალიზაციის დამკვრელი ტემპები

ფართოდ გავშალოთ სოფლად სესხის მნიშვნელობის ახსნა-განმარტების კამპანია

სესხის რეალიზაციის დამკვრელი დეკადის შედეგები

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გუშინ განიხილა სესხის რეალიზაციის დამკვრელი დეკადის შედეგები და აღნიშნა, რომ დამკვრელი დეკადის ჩატარებამ გამოიწვია მუშათა მასების აქტიური ამოძრავება სესხის უმოკლეს დროში გასასაღებლად და მართლაც, დეკადის დასრულების სესხის გასაღების საკონტროლო ციფრები ქალაქის სექტორში ზოგან შესრულებული იყო მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა პროფკავშირებმა (მეტყევეთა, მბეჭდავთა, თამბაქოს მუშათა, საფინანსო-საბანკო მუშაკთა, კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის და სხ. პროფკავშირებმა) თავიდანვე შესაფერისი ტემპები აიღეს და დამკვრელი დეკადაც უდიდეს წარმატებით ჩაატარეს.

ამასთანავე ერთად იმ კავშირებმა, რომლებიც სეზონურ მუშებს აერთიანებენ (საბჭოთა მამულების მუშათა, თევზეულობისა და ხორცის მუშების, საკონსერვო დარგის მუშების და სხ.) ვერ შესძლეს მუშათა ფართო მასების ამოძრავება და სათანადო წარმატებით ვერ ჩაატარეს სესხის რეალიზაციის დამკვრელი დეკადა.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ განათლების მუშაკთა კავშირმა ვერ შესძლო დეკადის შესაფერისად ჩატარება, ვერ გაშალა თავისი მუშაობა და ამის გამო ბევრგან ვერ შეასრულა სესხის რეალიზაციის გეგმა. განათლების მუშაკთა კავშირმა ვერ შესძლო ვერც მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივის ჩაბმა სესხის გასაღების საქმეში და ვერც მიღებული საკონტროლო ციფრების დაფარვა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ოპორტუნისტული ხელმძღვანელობის შედეგები

ხელოვნების მუშაკთა კავშირმა, როგორც ეს გამოირკვა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, თავიდანვე ვერ აუღო ალღო სესხის რეალიზაციის კამპანიის მნიშვნელობას. კავშირმა დაუშვა მთელი რიგი ოპორტუნისტული შეცდომებისა, რის გამო კამპანიის ჩატარება საფრთხეში ჩადგა. მაშინ, როდესაც სესხის გასაღებისას, კავშირს უნდა მოეხდინა ფართო მასების ყურადღების მობილიზაცია, რომ თვითეულ მშრომელს სესხზე ხელი მოეწერა სამი კვირის ხელფასის რაოდენობით, მან ამის მაგიერ სესხზე ხელის მოწერა აწარმოა ორიოდე კვირის ხელფასის რაოდენობით. კამპანიის ჩატარების დროს კავშირის მხრივ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სხვა დამახინჯებებსაც. არ იყო მოგვარებული აგრეთვე სესხის გასასაღებლად დაწყებული მუშაობის აღრიცხვის საქმე და სხვ.

ხელოვნების მუშაკთა კავშირმა ანგარიში არ გაუწია არც საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებას—მასების ყურადღების მობილიზაციის შესახებ სესხის რეალიზაციისათვის სამი კვირის ხელფასის რაოდენობით და არც საქართველოს პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობათა გაერთიანებულ თათბირის გადაწყვეტილებას ამავე საკითხზე.

რაიპროფკავშირები არ იძლევიან ცნობებს

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მთელი რიგი რაიპროფკავშირები არ იძლევიან ცნობებს სესხის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის სესხის გასაღების სურათის გამორკვევას მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ცნობებს არ გზავნიან შემდეგი რაიპროფკავშირები: ბამკიეთის, წალკის, მცხეთის, დუშეთის, ხევის, თიანეთის, აღბულაღ-მანგლისის, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის, სტალინისის, ბოგდანოვკის, ახალციხის, სამტრედიის, ამბროლაურის, ონის, ოკრიბის, ჩხარის, სენაკის და სხვ.

ცნობების გამოგზავნის საქმეს გულგრილად ეკიდებიან აგრეთვე აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოები, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არც ერთი ცნობა არ გამოუგზავნიათ პროფსაბჭოში სესხის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

პროფსაბჭოს წინადადებები

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა პროფკავშირებს არ შეასუსტონ სესხის რეალიზაციის ტემპები, განაგრძონ მუშაობა სესხის გასასაღებლად და ჩაატარონ სესხზე ხელის მოწერა იმ მუშა-მოსამსახურეთა შორის, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო (ავადმყოფობა, შვებულება, სეზონური სამუშაოები) დამკვრელი დეკადის ჩატარებისას ადგილებზე არ იყვნენ. კავშირებმა ფართოდ უნდა გაშალონ აგრეთვე მუშაობა მოსწავლეებსა და სტიპენდიანტებს შორის სესხის გასაღების კამპანიის ჩასატარებლად.

წინადადება მიეცა ყველა პროფკავშირებს სესხის რეალიზაციისათვის დაწყებული მუშაობის სიმძიმე დაუყოვნებლივ გადაიტანონ სოფლად იმ ვარაუდით, რომ 1-ლი აგვისტოსათვის სესხის გასაღების კამპანია დამთავრებული იქნეს სოფლადაც.

პროფსაბჭოს მასიური მუშაობის სექტორს დაევალა მტკიცე კავშირი დაამყაროს ადგილობრივ პროფორგანიზაციებთან და დახმარება გაუწიოს მათ პასუხისმგებელი მუშაკების გაგზავნით.

მასიური მუშაობისა და კულტმუშაობის სექტორებს დაევალათ გადაგზავნონ პროვინციაში სამხატვრო აგიტ-ბრიგადები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნენ სოფლად კამპანიის მსვლელობისას.

შემნახველ სალაროების სამმართველოსთან, კომკავშირთან და სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებთან ერთად, პროფსაბჭოს კულტსექტორს დაევალა მოაწყოს ესტაფეტა სოფლად სესხის რეალიზაციის კამპანიასთან დაკავშირებით.

ბოლშევიკურად გავასაღოთ სესხი სოფლად

მოსკოვი, 5 ივლისი. „ელექტროქარხნის“, „სერპ ი მოლოტ“-ის, „ტრიოხგორკის“, „დინამო“-ს და „ამო“-ს მუშებმა 25 ათასელებს მიმართეს წინადადებით ფართოდ გაშალონ სოფლად ხელის მოწერა მესამე გადამწყვეტი წლის სესხზე.

მიმართვაში, სხვათაშორის, ნათქვამია:

„ამჟამად ჩვენმა ქარხნებმა უკვე დაამთავრეს ხელისმოწერა. საკავშირო პროფსაბჭოს ლოზუნგზე: „სამი კვირის ხელფასი სესხისათვის“—ჩვენ უპასუხებთ შემხვედრი ლოზუნგით: „ერთი თვის ხელფასი“. ახლა იწყება კამპანიის გაშლა სოფლად. საკ. კ.პ. (ბ) ხელმძღვანელობით და თქვენი აქტიური დახმარებით სოფელი წავიდა ლენინური გზით. ახლა გავალებთ იკისროთ სესხის წარმატების ამოცანა. კოლმეურნეობები, სადაც თქვენ მუშაობთ, სანიმუშო უნდა გახდენ სესხის რეალიზაციის მხრივ. ისე მოაწყვეთ მუშაობა თქვენს კოლმეურნეობაში, რომ ხელის მოწერა უმოკლეს ვადაში დაამთავროთ, ბუქსირზე აიყვანოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და 1-ლ აგვისტოსათვის გაანაწილოთ სესხი კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეთა შორის“ (ადს).

როგორ მიმდინარეობს ხელის მოწერა

● თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს სესხზე 4.426 მანეთის რაოდენობით მათი თვიური ხელფასი უდრის 3.350 მანეთს.

● ქ. ცაგერის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ წამოაყენა შემხვედრი გეგმა, რომლის თანახმადაც რაიონის მუშა-მოსამსახურეთა შორის 40.000 მანეთის ნაცვლად უნდა გასაღდეს 68.000 მანეთის ობლიგაცია.

● გორი, 26 ივნისს ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა შორის ხელის მოწერით შეგროვილი იყო 215.000 მანეთი, რაც საკონტროლო ციფრის 100 პროც. შეადგენს. ხელის მოწერა გრძელდება. რეალიზაცია სოფლად დაიწყება 1 ივლისს.

● ყარაიას რაიონში 29 ივნისისთვის ხელის მოწერით შეგროვილი იყო 34.250 მანეთი. აქედან ბამბის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა ხელი მოაწერეს 7.455 მანეთზე, აგურის ქარხნის მუშებმა 3.220 მანეთზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშებმა—8.865 მანეთზე, წყალთა მეურნეობის მუშებმა 5710 მანეთზე, რეალიზაციის უკეთ ჩატარების მიზნით ცალკე პროფესიების მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და კერძო გლეხებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება.

დარახველიძე.

უკრაინელი მწერლების შეხვედრა წითელარმიელებთან

(ავჭალის ბანაკში)

გუშინ საღამოს უკრაინის ხელოვნების მუშაკთა დელეგაცია უკრაინის განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. პოლოცკის მეთაურობით და საქართველოს განათლების სახალხო კომისრის ამხ. ა. კვირიკაძის თანხლებით გაემგზავრა ავჭალის ბანაკში წითელარმიელებთან შესახვედრად.

დელეგაციაში შედიოდენ მიკიტენკო, ზაბილსკი, ბენკოვიჩი, მაზურენკო, პანოვი, გრუდინა და ზუმბრავსკი.

ადგილობრივი ამხანაგებიდან დ. დიასამიძე, ა. სულავა, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი და პრესის წარმომადგენლები.

თუმცა წვიმას ძალიან აეტალახებინა გზა, მაგრამ ჩვენ მაინც ჩქარა მივაღწიეთ ბანაკამდე.

მოუთმენლად მოგველოდნენ ბანაკს. ბანაკში შესასვლელ გზასთან აღმართულია არკა, რომელზედაც გადაკრულია ფართო წითელი არშია წარწერით: „ჩვენი მხურვალე სალამი უკრაინის ხელოვნების მუშაკებს“.

მისვლისთანავე სტუმრები მიიპატიჟეს სადილზე. საღამოს 7 საათისათვის დანიშნულია მიტინგი. ამ დროისათვის საზაფხულო კლუბის შენობასთან თავს იყრიან წითელარმიელთა ნაწილები. ჩქარა ახლო-მახლო ადგილები ყაყიფრად შეიფერა, აგუგუნდა ორკესტრი.

მიტინგს ხსნის ფრუნზეს სახელობის დივიზიის უფროსი ამხ. ხოსო ბუაჩიძე, რომელიც აცნობს წითელარმიელებს უკრაინელების მოსვლის მიზანს.

— დღეს ჩვენ გვესტუმრენ,—ამბობს ამხ. ბუაჩიძე,—უკრაინის ხელოვნების მუშაკები. ჩვენი მხედრული ბოლშევიკური პროლეტარული სალამი მათ.

წითელარმიელთა მასა აბობოქრდა, ასტყდა მქუხარე ტაშისცემა და „ვაშა“-ს ძახილი, რომელსაც შეუერთდა ორკესტრის „ინტერნაციონალი“.

დელეგაციის სახელით წითელარმიელებს ესალმება საბჭოთა უკრაინის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პოლოცკი.

— ჩვენ იმითაც ვართ ძლიერი, რომ მთელი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენს წითელ არმიასთან. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოები ცდილობენ მაღალი კედელი აღმართონ მშრომელებსა და ჯარს შორის, ჩვენ, პირიქით, ვაძლიერებთ კავშირს მათ შორის.

მაგრამ დღევანდელი ჩვენი კავშირი სულ სხვანაირია. ეს არის უკრაინის საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლების დაკავშირება წითელი ჯარის ქართულ ნაწილებთან, ქართველ წითელარმიელებთან.

ჩვენი ჩამოსვლის მიზანია გავეცნოთ რა კეთდება და როგორ კეთდება თქვენში და გიამბოთ—რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ ჩვენ, რომ ამით დავაჩქაროთ ახალი, პროლეტარული კულტურის შექმნა და სოციალიზმის მშენებლობა.

ხანგრძლივი ტაში და „ვაშა“ აცილებს ამხ. პოლოცკის ტრიბუნიდან.

შემდეგ იწყება წითელარმიელთა მისალმებები. სტუმრებს ქართულად ესალმება ამხ. გოძიაშვილი, თურქულად—ორბელიანი, ოსურად—გაგლოევი, სომხურად—დავიდოვი გერმანულად შეგელი, აფხაზურად — ზეშბა. რუსულად — კლოჩკოვი და უკრაინულად—ზეკი.

შემდეგ სიტყვით გამოდის საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ამხ. კვირიკაძე.

— უკრაინა,—ამბობს ის,—მეფის მთავრობის დროს ყველაზე დაჩაგრული ერი იყო. სიტყვა „უკრაინა“ განდევნილ იყო ხმარებიდან, არ არსებობდა უკრაინული ენა, უკრაინული წიგნი და გაზეთი. ეს მრავალრიცხოვანი ხალხი ჭერქვეშ იყო მოქცეული.

ოქტომბრის რევოლიუციამ განთავისუფლა უკრაინის ხალხიც, საშუალება მისცა მას განევითარებია თავისი ეროვნული კულტურა. დღეს ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ უკრაინის მშრომელებმა უდიდეს შედეგებს მიაღწიეს ამ გზაზე.

დღევანდელი სტუმრები ჩვენთან მოვიდნენ იმ მიზნით, რომ გაგვიზიარონ თავისი გამოცდილება და კიდევ უფრო განამტკიცონ ის კავშირი, რომელიც არსებობს ორ ძმურ რესპუბლიკის ხალხს შორის.

დასასრულ, დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვით გამოდის უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გენერალური მდივანი ამხ. ი. მიკიტენკო.

— ძვირფასო ამხანაგო წითელარმიელებო—იწყებს ქართულად თავის სიტყვას მიკიტენკო და განაგრძობს უკრაინულად.

მიტინგის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სახალხო არტისტმა ლიტვინენკო-ვოლგემუტმა, დამსახურებულმა არტისტმა პოტოცკიმ, მომღერალმა კიპარენკო-დამანსკიმ და სტუდენტმა ქალმა გაბრინოვიჩმა.

—:—

დელეგაციის ერთი ნაწილი 12 კაცის შემადგენლობით გუშინ საღამოს გაემგზავრა სომხეთში, სადაც დაჰყოფს ორ დღეს. დელეგაციაში შედიან ამხ. პოლოცკი, მაზურენკო, კირილენკო, ბენკოვიჩი, კურბასი და სხვები.

მათთან ერთად გაემგზავრა განათლების სახალხო კომისარი ამხ. კვირიკაძე.

საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა

პარიზი, 4 ივლისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა. ოფიციალურ ცნობაში საფრანგეთ - ამერიკის მოლაპარაკების შედეგის შესახებ ნათქვამია: მელონმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა თანახმაა დატოვებულ იქნას გერმანიის გადასახადი ყოველწლიური შესატანის უპირობო ნაწილში, რომელიც გათვალისწინებულია იუნგის გეგმით. აგრეთვე აცილებულ იქნა დანარჩენი უთანხმოებებიც. შეთანხმება ტეხნიკურ და ფინანსიურ საკითხების გამო მიღწეული იქნება იმ პირობით, თუ მას შეუერთდებიან დანარჩენი დაინტერესებული სახელმწიფოებიც. (ადს).

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი, 5 ივლისი. მუშების დათხოვნის ტალღა კვლავ იზრდება. ობერგუზენში პუტეგოფნუნგის მაღაროებში დაითხოვეს 1.600 მუშა. ბენზინის გაძვირებასთან დაკავშირებით, საავტომობილო მიმოსვლა მცირდება 15 პროც., ამის შედეგად დათხოვნილი იქნება 75 ათასამდე მუშა და მოსამსახურე (ადს).

15 ივლისი უმუშევართა დღეა

ბერლინი, 5 ივლისი. უმუშევართა სრულიად გერმანიის კომიტეტმა გადასწყვიტა, 15 ივლისს ჩაატაროს მთელი გერმანიის უმუშევართა დღე და აღნიშნოს იგი დემონსტრაციებით და საპროტესტო მიტინგებით მთავრობის შიმშილის პოლიტიკის წინააღმდეგ. კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მთელი გერმანიის მუშებს და უმუშევრებს.

ესპანეთის მუშები არ უცდიან

დამფუძნებელ კრებას

პარიზი, 4 ივლისი. მარტი „იუმანიტე“-ს ფურცლებზე აქვეყნებს თავის შთაბეჭდილებებს ესპანეთში მოგზაურობის შესახებ. მარტი აღნიშნავს, რომ ესპანეთში რევოლიუციონური განწყობილება სუფევს: „ბურჟუაზიას უპირდაპირდება უმუშევრობისა და უაღრესად მცირე ხელფასისაგან წელმოწყვეტილი, რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული პროლეტარიატი. ბარსელონაში მრავალი ათასი უმუშევარი მოითხოვს დახმარებას ნორმალური ხელფასის 3-4-ის რაოდენობით, უფასო ღამის გასათევს, გადასახადებისაგან განთავისუფლებას, უფასო მგზავრობას ტრამვაით და სხვ. იმედგაცრუებული მუშები არ უცდიან დამფუძნებელ კრებას, მათ იწყეს მასიური საგაფიცვო ბრძოლა და წარადგინეს ეკონომიური და სოციალური მოთხოვნები. მთავრობა გაფიცვების სალიკვიდაციოთ იყენებს არბიტრაჟს, რომელიც ჯერ კიდევ დიქტატურის დროს იყო შემოღებული. მაგრამ თავის ბრძოლაში მუშების წინააღმდეგ მთავრობა უფრო და უფრო იშვიათად აღწევს მიზანს. მთავრობა მიმართავს რეპრესიებს. მას მუშების წინააღმდეგ გამოყავს პოლიცია და სამოქალაქო გვარდია.

ანარქო-სინდიკალისტების ტაქტიკა გამოიხატება ცდაში, რათა გაფიცვა წმინდა ეკონომიურ ხასიათს არ გასცილდეს. მაგრამ როცა გაფიცულებს პურის მიღების უფლების დასაცავად უხდებათ გამოსვლა სამოქალაქო გვარდიის ტყვიების წინააღმდეგ, თვითეული ტყვია მახვილს სცემს მთავრობის რეჟიმს და სოციალ-დემოკრატებს (ადს).

გერმანიის კომპარტიის ზრდა

ბერლინი, 5 ივლისი. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ზღვის სანაპირო ოლქში (ჰამბურგის რაიონი) მიღებულ იქნა პარტიაში 5.222 ახალი წევრი (ადს).

სტუდენტების გამოსვლა

ბერლინი, 5 ივლისი. ფაშისტების უწესობებთან დაკავშირებით, ბერლინის უნივერსიტეტში ადმინისტრაციამ უნივერსიტეტიდან გამორიცხა რევოლიუციონურ სტუდენტთა ჯგუფის 8 წევრი. ასეთმა თვითნებობამ მემარცხენე ბურჟუაზიული პრესაც კი აღაშფოთა. რევოლიუციონური სტუდენტები აწყობენ საპროტესტო გამოსვლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პროვოკაციის წინააღმდეგ. (ადს).

არქტიკული გაფრენა

ბერლინი, 4 ივლისი. ეკენერმა განაცხადა, რომ ცეპელინი ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გაფრინდება 24 ან 25 ივლისს (ადს).

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის რვა წლის თავი

რვა წლის წინედ საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა და ძალაში შევიდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, რომელმაც ჩამოაყალიბა მსოფლიოში პირველი პროლეტარული სახელმწიფო, როგორც საკავშირო სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ დაადასტურა იმ დროისათვის უკვე არსებული მდგომარეობა ნებაყოფლობითი კავშირის ურთიერთობა ცალკე დამოუკიდებელ ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

ყველა საბჭოთა ნაციონალურ დამოუკიდებელ რესპუბლიკების გაერთიანება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების მთლიან კავშირად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეტაპს პროლეტარული დიქტატურის მშენებლობასა და განმტკიცებაში, ეტაპს, რომელსაც აქვს უაღრესი მნიშვნელობა მთელი საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობისათვის.

ასეთი გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოს პირობებში და მას საფუძვლად ედო შემდეგი მიზეზები:

ა) ძალღონის გაერთიანების საჭიროება მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის;

ბ) ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიანი ფრონტის შექმნის საჭიროება კაპიტალისტური გარემოცვის და ომის საფრთხის ზრდის პირობებში.

გ) ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლების პრაქტიკული განხორციელება მრავალერიან სახელმწიფოს პირობებში.

საბჭოთა კავშირი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოა. სოციალისტური მშენებლობის წარმატებები აძლიერებენ საზღვარგარეთულ პროლეტარების სიმპატიებს საბჭოების ქვეყნისადმი და მათ მზად ყოფნას. დაიცვან იგი იმპერიალისტების თავდასხმისაგან, მიუხედავად იმ ცილისწამებისა და სიცრუისა, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუაზია და მისი აგენტურა—სოციალფაშისტები.

მრავალერიან საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარეობს უდიდესი სოციალისტური მშენებლობა. ცარიზმისაგან საბჭოთა სახელმწიფომ უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. მეფის მთავრობა მთელი სისასტიკით სდევნიდა პატარა ხალხებს განაპირა რაიონებში. საბჭოთა ხელისუფლებამ ერთბაშად გაატარა ცხოვრებაში ერების თანასწორობის პრინციპი, მათი ნაციონალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ჩაგვრისაგან სრული განთავისუფლების პრინციპი, პრინციპი ყველა ეროვნებათა ძმური თანამშრომლობისა სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მერვე წლის თავზე ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის დარგში.

სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ დარგებში ხუთწლედი განხორციელებულია —2 ნახევარ წელში (ნავთი, ელექტრო-მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობა, ფოლადი, სატკეცი რკინა და სხვ.).

სოფლის მეურნეობაში მოხდა უდიდესი სოციალურ - ეკონომიური გარდატეხა. საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმულია საბჭოთა კავშირის ინდივიდუალური მეურნე გლეხთა 53 პროცენტზე, ანუ 13 მილიონზე მეტი, ხოლო მარცვლეულის ძირითად რაიონში—80 პროცენტზე მეტი. ხდება კაპიტალიზმის უკანასკნელი დასაყრდენის—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ამიერ-კავკასიაში გლეხურ მეურნეობათა საერთო რაოდენობის 36 პროცენტზე მეტი ჩაბმულია საკოლმეურნეო მშენებლობაში, ხოლო მებამბეობის რაიონებში—55 პროცენტზე მეტი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე და არა უგვიანეს 1932 წლის გაზაფხულისა მებამბეობის რაიონებში ძირითადად დამთავრებული იქნება მთლიანი კოლექტივიზაცია და მის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

ნაციონალურ გაერთიანებათა უდიდეს სამეურნეო ზრდასთან ერთად, მიმდინარეობს კულტურული მშენებლობის სწრაფი პროცესი და კადრების მომზადება ნაციონალების წრიდან. კადრები მზადდება როგორც მრეწველობის, ისე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის. ადგილობრივი ეროვნებანი ყველგან ებმებიან სახელმწიფო აპარატში, რომელიც თანდათან ივსება ადგილობრივ მოსახლეობის, მისი ყოფა-ცხოვრების და ინტერესების კარგად მცოდნე ადამიანებით.

მოსწავლეთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში წლიდან-წლამდე იზრდება. ასე, სასკოლო დაწესებულებების პირველ კონცენტრში 1929 წელს ჩაბმული იყო 475.805 კაცი, 1930 წელს—505.357.1930 წლ. განსაკუთრებულ კვარტალში კი ეს რიცხვი ავიდა 813.000-დე. უმაღლესი სასწავლებლები 1929 წელს იყო 11, რომლებშიაც სწავლობდა 15.300 კაცი, 1930 წელს—14, სადაც მოსწავლეთა რიცხვი უდრიდა 17.400, ხოლო 1931 წელს ჩვენ გვაქვს 32 უმაღლესი სასწავლებელი 24 760 მოსწავლით.

იმ დეკლარაციაში, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალი ერის ძმური თანამშრომლობა, ნათქვამია, რომ „**თანამედროვე მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად; სოციალიზმის ბანაკად და კაპიტალიზმის ბანაკად**“.

ეს ორი ბანაკი ვითარდება პოლიტიკური და სამეურნეო სისტემის სრულიად საწინააღმდეგო საფუძვლებზე, რომლებიც ერთიმანეთთან შეუთავსებელია.

კაპიტალიზმის ბანაკში ჩვენ ვხედავთ ეკონომიურ კრიზისს, წარმოების დაცემას, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას, უმუშევრობის ზრდას, სამუშაო ხელფასის დაკლებას, გაფიცვების ზრდას, შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებას, მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის და ნაციონალურ - განმანთავისუფლებელ მოძრაობის ზრდას, რაც დაკავშირებულია ნაციონალურ წინააღმდეგობათა უაღრესად გამწვავებასთან, დაბნეულობას კაპიტალისტებს შორის და კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობის ბევრად უფრო გაუარესების პერსპექტივას.

საბჭოთა კავშირში, **სოციალიზმის ბანაკში**, პირიქით, ადგილი აქვს ეკონომიურ აღორძინებას, წარმოების ზრდას სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში, უმუშევრობის ლიკვიდაციას. სამუშაო ხელფასის გადიდებას, შრომითი ენტუზიაზმის ზრდას, რაც იხატება სოციალისტურ შეჯიბრების ფორმაში, დამკვრელ ბრიგადებში, შინაური მდგომარეობის განმტკიცებას, მუშების და კოლმეურნეების მილიონიანი მასების დარაზმვას საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრამ ჩვენში უზრუნველჰყო ნაციონალური მშვიდობიანობა და მჭიდროდ შეაკავშირა საბჭოთა კავშირის მოსახლე სხვადასხვა ხალხები. იზრდება რწმენა საკუთარი ძალებისა და მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივებისადმი.

ასეთია ამ ორი საწინააღმდეგო სისტემის განვითარების შედეგი. ლენინური ხაზის მტკიცედ განხორციელება ნაციონალურ საკითხში საბჭოთა კავშირს ხდის მიმზიდველ ცენტრად აღმოსავლეთის კოლონიალურ და დევნილ ხალხებისათვის.

პარტიის მე-16 ყრილობამ თავის რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივ ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, პარტიის რიგებში ადგილი აქვს დიდმპყრობელურ და ადგილობრივ შოვინიზმისაკენ ნაციონ. გადახრების აქტივიზაციას. მთავარ საფრთხეს ახლანდელ ეტაპზე წარმოადგენს დიდმპყრობელური გადახრა, რომელიც ცდილობს მოახდინოს ლენინური ნაციონალური საფუძვლების რევიზია და ინტერნაციონალიზმის დროშით ფარავს წინედ გაბატონებულ ველიკორუსთა ერის მომაკვდავი კლასების მისწრაფებას დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები.

ამასთან ერთად ძლიერდება გადახრა ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ, რომელიც ასუსტებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მთლიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციას.

პარტიამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა ორივე გადახრასთან ნაციონალურ საკითხში და ამ გადახრებისადმი შემარიგებლობასთან და ამავე დროს უნდა გაამახვილოს ყურადღება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებისადმი, ნაციონალური უთანასწორობის ელემენტების აღმოფხვრისადმი და საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურების ფართო განვითარებისადმი“.

ის ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინაშე დგანან ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების და შემდგომი გაფართოების დარგში, დაჟინებით გვიკარნახებენ იმის აუცილებლობას რომ დავიცვათ მკაცრი კლასობრივი ხაზი საბჭოების და საბჭოთა აპარატის მუშაობაში, მივაღწიოთ მასების უფრო მეტ აქტივიზაციას, გავაძლიეროთ მათი უშუალო მონაწილეობა სახელმწიფო აპარატში, გადაჭრით გავამუშაოთ აპარატი, დაუზოგავი ბრძოლა ვაწარმოოთ ბიუროკრატიზმთან და აპარატის კლასობრივად უცხო და მტრულ ელემენტებით დანაგვიანებასთან.

კონსტიტუციის დღე მიმდინარე წელს ტარდება შემდეგი ნიშნებით: გადამწყვეტი შეტევა დარჩენილ კაპიტალისტურ ელემენტებზე, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ყველა საგეგმო დავალებათა შესრულება ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში საბჭოთა კავშირის სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის საბოლოოდ დამთავრებისათვის, ქალაქის და სოფლის მშრომელ მასების უფრო მეტი დარაზმვა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების გარშემო მრავალმილიონიან საბჭოთა კავშირის ყველა ნაწილებში.

ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ გადაუხრელად გავატარებთ პარტიის გენერალურ ხაზს ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებთ ორ ფრონტზე—მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ეხლანდელ ეტაპზე და „მემარცხენე“ გადახვევების წინააღმდეგ, აგრეთვე მათთან შემარიგებლობის და ნაციონალურ საკითხში გადახრების ყოველგვარ გამოხატულების წინააღმდეგ.

ვ. მუსაბეკოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და ა.-კ. ს. ს. კ. გაერთიანებული პლენუმი

საინფორმაციო ცნობა

1—5 ივლისს შესდგა საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის და ა-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის მესამე გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა შემდეგი საკითხები:

1. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მდგომარეობისა და 1931 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
2. მრეწველობის 1931 წლის პირველი ნახევრის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ.
3. სოფლის პარტორგანიზაციის მდგომარეობა და პარტმუშაობის მორიგი ამოცანები სოფლად.
4. ბამბის თესვის კამპანიის შედეგები, ღონისძიებები ბამბის 1931 წლის გეგმის ყველა მაჩვენებლების შესრულების უზრუნველსაყოფად და მოსამზადებელი მუშაობა 1932 წლის გეგმისათვის.

ამიერ - კავკასიიდან სხვა ადგილას სამუშაოზე გადასვლის გამო, პლენუმმა გაანთავისუფლა საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან ამხ. ელიავა, ცხაკაია, რედენსი და საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები ამხ. ი. კასიმოვი და ავქსენტიევსკი.

პლენუმმა კანდიდატობიდან საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრებათ გადარიცხა ამხ. ყურულაშვილი და სუხიშვილი და საკ. კ.პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად აირია ამხ. ბერია, ფედკო, პარუშინი, სნეგოვი და ალა სულთანოვი (ადს).

შაქრის ქარხანა საქართველოში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

აგარა, 5 ივლისი. დღეს, სტალინისის რაიონში სად. აგარასთან საძირკველი ჩაეყარა შაქრის ქარხანას.

საძირკვლის საზეიმო ჩაყრამდე გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დიდძალი მშრომელი გლეხობა დაესწრო. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო შაქრის ჭარხლის კოლექტივების წევრთა ენტუზიაზმი. ისინი მიტინგზე გამოვიდენ პლაკატებით და დასდეს პირობა, რომ შაქრის ქარხანას უზრუნველჰყოფენ ჭარხლით. მიტინგს დაესწრნენ მეზობელ რაიონების გორის და კასპის კოლმეურნეთა წარმომადგენლები. ქარხნის მშენებლობისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სავსებით დამთავრებულია. ქარხანა ამუშავდება 1932 წლის 1-ლ ოქტომბერს. ქარხანა დღე-ღამეში დაამზადებს **10.000** ფუთ ფხვნილ შაქარს. ქარხნის აგება დაჯდება **10 მილიონ** მანეთზე მეტი.

მომავალი წლის გაზაფხულზე ჭარხალი დაითესება 6.000 ჰექტარის ფართობზე. წელს ჭარხალის თესვის გეგმა როგორც სტალინისის, ისე გორის და კასპის რაიონებში, წარმატებით იქნა შესრულებული. ჭარხალის ნათესებს საუკეთესო პირი უჩანთ.

ქართლის მშრომელი გლეხობა აღფრთოვანებულია შაქრის ქარხნის აგებით, რასაც მათი ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

რ. ზვეტაძე.

რედაქციისაგან

ვინაიდან ამხ. სტალინის სიტყვა მიღებული იყო კვირას, ხოლო მისი გადადება ჩვენი გაზეთის მორიგ ნომრისათვის (7 ივლ.) დააგვიანებდა მის გამოქვეყნებას, ამიტომ ვბეჭდავთ ამ სიტყვას დღეს საგანგებო ნომერში, რომელიც შეიცავს მხოლოდ ორ გვერდს.